გრასის
დეზინფორმაციის
ბრიფი

მონიტორინგის პერიოდი:

17-22 იანვარი

GRASS
REFORMANDA

- „კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ აქვეყნებს რეკომენდაციებს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პირველი პუნქტის - დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ევროკავშირსა და მის ღირებულებებში ჩარევასთან ბრძოლის შესასრულებლად;
- „ქართული ოცნება“ ქართულ ეკლესიას ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების „თავდასხმებისგან“ იცავს, დონორებს, მათ შორის USAID-ს მოუწოდებს, გადახედოს, თუ როგორ იხარჯება მათი დაფინანსება;
- „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული მოძრაობა „ხალხის ძალა“ ავრცელებს შეთქმულების თეორიას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი ომში ჩართვაზეა დამოკიდებული;
- საქართველოში პროკრემლინური პროპაგანდა ტრადიციული ანტიდასავლური ნარატივებით ევროკავშირს უტევს;
- პრორუსული პროპაგანდის ყურადღების ცენტრში კვლავ სტალინის „სასიკეთო საქმეებია“;
- პროკრემლინური პროპაგანდის თანახმად, საქართველო ვასალია, რომელსაც აშშ აგენტების მეშვეობით აკონტროლებს.

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ აქვეყნებს რეკომენდაციებს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პირველი პუნქტის - დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან და ევროკავშირსა და მის ღირებულებებში ჩარევასთან ბრძოლის შესასრულებლად

ევროპულმა კომისიამ 2023 წლის 8 ნოემბერს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა 9 ნაბიჯს შეასრულებს.

„კოალიციამ ინფორმაციის სანდოობისთვის“ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირველი ნაბიჯის შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებებისთვის რეკომენდაციებს მოიცავს, რათა საქართველომ შეძლოს „დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასთან, ევროკავშირსა და მის ღირებულებებში ჩარევასთან ბრძოლა“.

აუცილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესახებ, რათა შესაბამისად შესრულდეს ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირველი ნაბიჯი, რომლის მიხედვითაც

პოლიტიკის დოკუმენტში გადმოცემულია ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე, ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული მიდგომის ჩამოყალიბებას, რათა ამაღლდეს მდგრადობა ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და უცხოური საინფორმაციო მანიპულაციების წინააღმდეგ.

გაეცანით პოლიტიკის დოკუმენტს ამ ბმულზე.

„ქართული ოცნება“ ქართულ ეკლესიას ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების „თავდასხმებისგან“ იცავს, დონორებს, მათ შორის USAID-ს მოუწოდებს, გადახედოს, თუ როგორ იხარჯება მათი დაფინანსება

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, 8 იანვრის განცხადებით, ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება 7 იანვარს - რუსულ შობად, ხოლო მართლმადიდებლობას რუსულ რელიგიად მოიხსენიებენ, რაც მილიონობით მართლმადიდებელი ქართველის შეურაცხყოფაა. პარლამენტის თავმჯდომარემ პირადად მიმართა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დამცველ, „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბექა მინდიაშვილს, რომელიც, მისი ტმკიცებით, რელიგიურ შეუწყნარებლობას იჩენს ქართული ეკლესიის მიმართ.
- ორი დღის შემდეგ, შალვა პაპუაშვილი, მისივე მტკიცებით ოპოზიციის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიის მიერ კოორდინირებულ და წინასწარ დაგეგმილ შეტევას ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, ვრცელი წერილობითი განცხადებით გამოეხმაურა. პაპუაშვილის თქმით, ხატზე თავდასხმა და 7 იანვარს შობის აღნიშვნის გამო მართლმადიდებელი მრევლის შევიწროება იყო „დომინირებული პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც უცხოური დაფინანსებით პარტიულ პროპაგანდას ეწევიან“. პარლამენტის თავმჯდომარემ ცალკე გამოყო გიორგი კანდელაკი, „სოვლაბის“ წარმომადგენელი, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის გაანალიზებას ემსახურება და კვლავდაკვლავ ბექა მინდიაშვილი, „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის“ ხელმძღვანელი, რომლებიც, პაპუაშვილის შეფასებით, მართლმადიდებლური ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ მტრული რიტორიკით გამოირჩევიან. პაპუაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი“ USAID-ის ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, რითაც USAID კვლავ სკანდალის ცენტრში მოექცა. მან აღნიშნა, რომ რელიგიური შეუწყნარებლობის დაფინანსება არც ქართველი ხალხის ინტერესებს შეესაბამება და არც - ამერიკელების, შესაბამისად, ის USAID-ის მიერ აღნიშნული საკითხის განმარტებას მოელის. განცხადების ბოლოს, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის თაობაზე კანონმდებლობა არ არსებობს, მსგავსი ფაქტები საზოგადოებისგან დამალულია, აქედან გამომდინარე, დონორებმა დამოუკიდებლად უნდა აკონტროლონ, თუ რას მიემართება მათი დაფინანსება.
- პარლამენტის მორიგი პრესკონფერენციის დროს პაპუაშვილმა განაცხადა, რომ როგორც არ უნდა გადაჯგუფდეს ოპოზიცია, საქართველოს მოქალაქეებისგან მხარდაჭერის მოლოდინი მაინც არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი მუდმივად საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებენ. მისი თქმით, ოპოზიცია ქართველ ხალხს მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ომსა და ეკონომიკურ კოლაფსს პირდებიან. ამასთანავე, პაპუაშვილის მტკიცებით, „ოპოზიციასთან აფილირებული მედია ცდილობდა, მტრული კამპანიით შეურაცხყოფა მიეყენებინა მრევლისთვის და შობის დღესასწაულზე ეკლესიის დისკრედიტაცია მოეხდინა“.
- ნატა ფერაძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც „სამების ტაძარი საქართველოში კორუფციის მთავარი ტაძარია“, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა და აღნიშნული მტკიცება შეაფასა,

როგორც საქართველოში ბოლშევიზმის ახალი ენერგიით დაბრუნების მცდელობა. მისი თქმით, ბოლშევიზმი არაა დამახასიათებელი ქართული ეროვნული სულისკვეთებისთვის, შესაბამისად, გასაქანი არ ექნება. თუმცა მან საზოგადოებას მოუწოდა, სწორი რეაგირება მოახდინოს მსგავს ფაქტებზე.

- მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ეს ადამიანები“ (ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება) ებრძვიან ყველაფერს, რაც ქართველებისთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია: ეკლესიას, სარწმუნოებას, კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს. კალაძის მოსაზრებით, აღნიშნული დაწესებულებების წინააღმდეგ მტრული კამპანია მიზანმიმართულად ხდება, თუმცა საზოგადოება ხვდება, ვისი ხელით იმართებიან „ეს ადამიანები“.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გია ვოლსკიმ პაპუაშვილის განცხადება განავრცო და ხაზი გაუსვა, რომ USAID-მა სიღრმისეულად უნდა გამოიკვლიოს, რა პროგრამები ფინანსდება მათი ხარჯებით, რადგან თავად პროგრამის სახელი, „ერთიანობა და მრავალფეროვნება“, არ შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოების იმ ღონისძიებებს, რომლისთვისაც ფინანსდება. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ პროგრამა არ შეესაბამება ქართველი საზოგადოების ინტერესებს, რომელსაც USAID ეხმარება და უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს. მიუხედავად ამისა, ვოლსკის მტკიცებით, პარლამენტის თავმჯდომარე ვალდებული იყო, აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებისთვის მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა.
- ეკლესიის მიმართ გაკეთებული ხისტი განცხადებები და ფიზიკური განცხადებები გია ვოლსკიმ შეაფასა, როგორც ტერორიზმის გამოვლინება. მისი თქმით, მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები პოლიტიკური შინაარსის მატარებელია და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების სტრატეგიას ემთხვევა. გია ვოლსკის შეფასებით, ნებისმიერი თავდასხმა ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციაზე, როგორიც ეკლესიაა, ქვეყნისთვის დამაზიანებელია და დესტაბილიზაციის წინაპირობას ქმნის.
- პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სარჯველაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციისა და „ოპოზიციასთან აფილირებული არასამთავრობო ორგანიზაციების“ კამპანიას ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ პასუხი უნდა გაეცეს. მისი შეფასებით, კრიტიკის ზოგიერთი გამოყენებული ფორმა სასულიერო პირების ღირსებას შეურაცხყოფს და აღნიშნული არ უნდა იყოს დაშვებული, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიულად მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, რატი იონათამიშვილის, მტკიცებით, ოპოზიცია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წინააღმდეგ იბრძვის და ახლა ეკლესიას ესხმის თავს, რის გამოც „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა 60%-ია. იონათამაშვილის მოლოდინით, ოპოზიცია არჩევნებს წააგებს, რადგან ეს უკანასკნელი უპირისპირდება მმართველ პარტიას, ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას.





„ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული მოძრაობა „ხალხის ძალა“ ავრცელებს შეთქმულების თეორიას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი ომში ჩართვაზეა დამოკიდებული

„ხალხის ძალა“ განცხადებით გამოეხმაურა მაიკლ მაკფოლის ინტერვიუს, რომელშიც რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი და იერმაკ-მაკფოლის სანქციების ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ 2008 წელს ნატოს პოტენციური წევრობის საკითხში საქართველო ლიდერობდა, თუმცა შემდგომ უკრაინას ჩამორჩა. საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ თანახმად, 2008 წელს საქართველო უკრაინას ადამიანების წამებით, ელიტური კორუფციით, ბიზნესის რეკეტითა და ტელევიზიების მიტაცებით უსწრებდა. განცხადების მიხედვით, ახლა ზელენსკის ხელისუფლებამ სააკაშვილის რეჟიმიც კი უკან ჩამოიტოვა.

„ხალხის ძალის“ შეფასებით, ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც მაიკლ მაკფოლი ხელმძღვანელობდა 2008 წელს საქართველოს ლიდერობაზე საუბრისას იყო ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა ომის თავიდან აცილება ვერ შეძლო და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო. ხოლო ახლა, როდესაც უკრაინაა მსგავს სიტუაციაში, ქვეყანას ნატოში გაწევრიანების საკითხში ლიდერად მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს 2008 წელს.

„ანუ პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ ნატოზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგველაპარაკებიან, თუ ვიომებთ. ისიც დაგველაპარაკებიან, თორემ ნატოში ახლად ნაომარ ქვეყანას რომ არავინ მიიღებს, ამას 2008 წლის ქართული გამოცდილებაც მოწმობს“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

მაკფოლის მინიშნება „ხალხის ძალას“ კიდევ ერთხელ უმყარებს რწმენას, რომ 2008 წლის ომი ძირფესვიან გამოძიებას საჭიროებს. განცხადების მიხედვით, ახლა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო სასამართლოში ქართული სახელმწიფოსა და ჯარის ინტერესები ეფექტიანად დაიცვა, გაჩნდა შესაძლებლობა, დეტალურად გაირკვეს, 2008 წლის ომი ნამდვილად სააკაშვილმა დაიწყო, თუ არა. აგრეთვე, „ხალხის ძალა“ ეჭვქვეშ აყენებს იმ ფაქტს, რომ ადრე უცხოელმა მფარველებმა „ცივილიზებული სამყაროს ლიდერად“ სააკაშვილი აღიარეს, ხოლო 2022 წელს იგივე ზელენსკის მიმართ გაიმეორეს. „ხალხის ძალა“ მიანიშნებს, რომ „გასარკვევია, ხომ არ შეასრულა მაშინ სააკაშვილმა იმ ადამიანების დაკვეთა, რომელთაგანაც მან ეს „მაღალი“ ტიტული დაიმსახურა“.

„ჩვენი მეგობარი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა აშკარად უმძიმესია“, - ვკითხულობთ განცხადებაში, რომელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ უკრაინა, ომის შედეგად, განადგურებული და დასუსტებულია. ამ ყველაფრის ფონზე, უკრაინა რომც გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, საკითხავია, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელშესახები მორალური ან პრაქტიკული ნუგეშის მომტანი თუ იქნება უკრაინელი ხალხისთვის.

საქართველოში პროკრემლინური პროპაგანდა ტრადიციული ანტიდასავლური ნარატივებით ევროკავშირს უტევს

- „ტელეკომპანია სეზონის“ წამყვანმა და პრორუსულმა პროპაგანდისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ გაიხსენა ფაქტი, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თამარ მეფის, ქართული მართლმადიდებლური

ეკლესიის წმინდანის, პრეზერვატივზე გამოსახვა გამოხატვის ტავისუფლებად შეაფასა. მჟავანაძემ აღნიშნულ მოვლენას ქართულ სიწმინდეებზე თავდასხმა უწოდა და დასავლური ინსტიტუციები საქართველოს ეკლესიის დაკნინების მცდელობაში დაადანაშაულა. პროპაგანდისტის მტკიცებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის შედეგად იმ პროექტების დაფინანსება გაიზრდებოდა, რომლებიც საქართველოსთვის ძირის გამოთხრას ემსახურება.

- „ტელეკომპანია სეზონზე“ მჟავანაძე და მისი სტუმარი უნგრეთისა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრების მიმართ ევროკავშირის წინააღმდეგ საკუთარი პოზიციების დაცვისა და უკრაინის წინააღმდეგ განსხვავებული დამოკიდებულებების გაჟღერების გამო სიმპათიას გამოხატავდნენ. მჟავანაძემ ევროკავშირის ზეწოლა უნგრეთის პრემიერ-მინისტრზე, ვიქტორ ორბანზე, შეაფასა, როგორც „ფაშიზმის გამოვლინება“. ამავდროულად, მისი სტუმარი განაგრძობდა მტკიცებას, რომ უნგრეთი, სლოვაკეთი და საფრანგეთი ევროკავშირს დატოვებდნენ, თუ არჩევნებში მარინ ლე პენი გაიმარჯვებდა, რის შედეგადაც, ევროკავშირი დაიშლებოდა და არსებობას შეწყვეტდა.
- „ალტ-ინფოს“ წევრმა განაცხადა, რომ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი ნაბიჯი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს „ალტერნატიული მოსაზრებების“, ანუ „ალტ-ინფოს“ იდეოლოგიის, ჩახშობას საქართველოში. ევროკავშირის მოთხოვნების გამო, ხელისუფლებამ, შესაძლოა, „კონსერვატიული მოძრაობა“ და სხვა მსგავსად მოაზროვნე ორგანიზაციები აკრძალოს, რათა დასავლური ზეგავლენა უფრო ფართოდ გავრცელდეს.
- „ალტ-ინფოზე“ მორიგმა პროპაგანდისტმა საბჭოთა კავშირი და ევროკავშირი ერთმანეთთან გააიგივა და აღნიშნა, რომ მათ შორის ერთადერთი განსხვავება ეკონომიკური სისტემაა. როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი იყო, მოსკოვს ემორჩილებოდა, ხოლო თუ ევროკავშირის წევრი გახდებოდა - ბრიუსელს დაემორჩილებოდა. პროპაგანდისტი აგრეთვე ირწმუნებოდა, რომ ევროკავშირში ეკლესიებს და ტაძრებს ხშირად გადააკეთებენ ხოლმე ღამის კლუბებად და კაფეებად, რითაც მან განავრცო რიტორიკა, რომლის თანახმადაც ევროპული ქვეყნები ქრისტიანობას პატივს არ სცემენ.
- “GeWorld-ზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში პრორუსულმა პროპაგანდისტმა ვალერი კვარაცხელიამ ჩინეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა უწოდა, რომელიც, მისი თქმით, საქართველოს მიერ მრავალპოლუსიანი მსოფლიოს აღიარებას ადასტურებს. ამიერიდან, საქართველო აღარ იქნებოდა ერთ პოლუსზე მიჯაჭვული და მისი ეროვნული ცნობიერება განთავისუფლდებოდა დასავლეთის შეუცვლელობის რწმენისგან. აქედან გამომდინარე, ჩინეთში „ქართული ოცნების“ დელეგაციის ვიზიტი მხოლოდ დადებით კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული [მმართველი პარტიის დელეგაციამ წინა კვირას ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა].

პრორუსული პროპაგანდის ყურადღების ცენტრში კვლავ სტალინის „სასიკეთო საქმეებია“

- “70 წელი გავიდა ისრაელის, თანამედროვე უკრაინისა და საქართველოს შემქმნელი სტალინის გარდაცვალებიდან,“ - წერს არნო ხიდირბეგიშვილი, პრორუსული „საქინფორმის“ რედაქტორი. სტატიაში ხირიდბეგიშვილი ირწმუნება, რომ „ანგლოსაქსების წინააღმდეგობის მიუხედავად, სტალინმა ებრაელებს სახელმწიფო აჩუქა, რათა აენაზღაურებინა მათთვის ჰოლოკოსტის საშინელება და დაეცვა მათი ისტორიული კავშირი პალესტინის მიწასთან. სტალინმა შექმნა თანამედროვე უკრაინა, წაართვა ტერიტორიები პოლონეთს, უნგრეთსა და რუმინეთს, მაგრამ უკრაინის ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ რუსეთი გაცვალა ევროპასა და აშშ-ზე“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, უკრაინა ვერ შეძლებს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას, თუ რუსეთ-ბელარუსის მოკავშირე სახელმწიფოს შემადგენლობას არ შეუერთდება. დაბოლოს, საქართველოს სტალინმა შეუერთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თუმცა „უმადურმა“ ქართველებმა მისი ძეგლები გორშიც კი აიღეს, რის შედეგადაც „უფალმა წაართვა ეს ტერიტორიები“, რომლებიც სტალინმა საქართველოს აჩუქა.
- ფაშიზმის დამარცხებისთვის ნიკოლოზ მჟავანაძემ იოსებ სტალინს „ქრისტიანობის გადამრჩენელი“ უწოდა. ამასთანავე, მან ქართული იდენტობის გადარჩენა კვლავდაკვლავ რუსეთს დაუკავშირა და ირწმუნებოდა, რომ თუ საქართველო უარყოფს ყველაფერს, რაც რუსეთთან აკავშირებს, მოუწევს, მართლმადიდებლობაც დათმოს.
- მჟავანაძესთან ერთად, „ტელეკომპანია სეზონის“ სტუმარმა იოსებ სტალინის დანაშაულის გამართლება სცადა პარალელით, რომ თუ ფრანგებს ნაპოლეონი ჰყავთ, მაშინ ქართველებს - სტალინი. ნაპოლეონის მიერ ფრანგი ჯარისკაცების ომში შეწირვისა და დამარცხების მიუხედავად, ის მაინც გმირად იყო აღიარებული. თუმცა, ამავდროულად, სტალინს სისხლმოწყურებულ დიქტატორს უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ის არათუ არასოდეს დამარცხებულა ომში, არამედ, პირიქით, ბევრი ადამიანის ცხოვრებაც გაუმჯობესა. პროპაგანდისტმა სტალინი დავით აღმაშენებელსაც კი შეადარა - ერთ-ერთ ცნობილ და ქართველების საყვარელ მეფეს - და განაცხადა, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის დავით აღმაშენებელსაც დასჭირდა ძალადობრივი ღონისძიებების გატარება ბევრი ადამიანის წინააღმდეგ, რითაც პროპაგანდისტმა სტალინთან პარალელი გაავლო.
- პროპაგანდისტმა „ალტ-ინფოზე“ განაცხადა, რომ ლიბერალების მესიჯბოქსი სტალინის დისკრედიტაციაზეა მიმართული. თავდაპირველად, მას ადოლფ ჰიტლერთან აიგივებენ, თუმცა ახლა ლიბერალები ამ უკანასკნელზე უარესად წარმოაჩენენ სტალინს.
- მორიგი პროპაგანდისტის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ათეისტური სახელმწიფო იყო ათეისტური კანონებით, რწმენის შეურაცხყოფა მაინც დასჯადი იყო. საბჭოთა დროს, ნატა ფერაძე ვერ შეძლებდა ხატზე საღებავის შესხმას.
- პროპაგანდისტული წყაროს თანახმად, საქართველო ევროპასა და აზიას შორის ხიდი ვერ იქნება, თუ ის რუსეთთან კარგ ურთიერთობას არ შეინარჩუნებს. სავაჭრო გზის ფუნდამენტური ასპექტი უსაფრთხოებაა და სანამ საქართველო

რუსეთთან „მეგობრობის ხელშეკრულებას“ არ მოაწერს ხელს, წარმატებული ვერ იქნება.

პროკრემლინური პროპაგანდის თანახმად, საქართველო ვასალია, რომელსაც აშშ აგენტების მეშვეობით აკონტროლებს

- ამერიკის შეერთებული შტატების კოორდინატორმა გლობალურ ანტიკორუფციულ საკითხებში, რიჩარდ ნეფიუმ, საქართველოში შეხვედრები გამართა. მან პირველი ოფიციალური შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართა, რაც, ნიკოლოზ მჟავანაძის შეფასებით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აშშ მთავრობაზე მაღლა სამოქალაქო სექტორს აყენებს, რადგან ეს უკანასკნელი ამერიკის ინტერესების გამტარნი არიან.
- „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტები აგრეთვე გამოეხმაურნენ რიჩარდ ნეფიუს ვიზიტს. ერთ-ერთი მათგანის შეფასებით, როგორც მოსკოვი გზავნიდა საქართველოში ადამიანებს, რათა ქვეყნის მორჩილება შეეფასებინა, ახლა ვითარების სანახავად ოფიციალური პირი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოგზავნა. მჟავანაძის მსგავსად, „ალტ-ინფოს“ პროპაგანდისტმა განაცხადა, რომ რიჩარდ ნეფიუმ სამოქალაქო საზოგადოებასთან პირველი შეხვედრა „აგენტებისთვის განკარგულებების გასაცემად“ გამართა.
- იგივე პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ აშშ საქართველოს ხელისუფლების მისამართით პირდაპირ გასცემს ბრძანებებს და მისი მოსაზრებით, 2008 წლის აგვისტოს ომიც სწორედ ამერიკელების განკარგულება იყო. ამასთანავე, პროპაგანდისტის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობის სათავე არა არჩევნები, არამედ აშშ იყო. თუნდაც საზოგადოებისგან საკმარისი მხარდაჭერა ჰქონდეს გარკვეულ პოლიტიკურ პარტიას, ის ძალაუფლებას ვერ მოიპოვებს, თუ ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება.
- რამდენიმე პროპაგანდისტი ეხმიანებოდა რიტორიკას, რომლის თანახმადაც, ნატა ფერაძის ქმედების მიღმა აშშ-ს საელჩო, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური პარტიები იყვნენ. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ სტალინის ხატზე საღებავის შესხმა სწორედ ამ აქტორების შეთანხმებული თავდასხმა იყო ქართულ ეკლესიაზე.
- მორიგმა პროპაგანდისტმა „ალტ-ინფოზე“ გააჟღერა კრემლის მიერ ხშირად დაფიქსირებული შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც, USAID მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად პროგრამებს აფინანსებს. პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ თბილისში ლუგარის კვლევითი ცენტრი, მსოფლიოში აშშ-ს მიერ დაფინანსებული სხვა ლაბორატორიებისის მსგავსად, ახალ ვირუსს ქმნის, რომელსაც კოვიდ-19-ზე 20%-ით მაღალი გარდაცვალების მაჩვენებელი ექნება.
- პროპაგანდისტული წყაროები ეხმიანებოდნენ ნარატივს, რომ აშშ-ს საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ ადარდებს. ის რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გაჩაღებით ქვეყნის ტერიტორიის რუსეთის დასასუსტებლად გამოყენებას განიზრახავს.